In contrast to the original materials of the old building, those used for the restoration are modern and simply-shaped with perimetral walls encompassing large panoramic windows, enveloping the ground floor entrance room in the surrounding vegetation.





პირველი სართული
GROUND FLOOR




შესასვლელი ღამით
ENTRANCE, NIGHT VIEW


THE PROJECT has transformed the farm house into a contemporary Residential House enclosed by centuries-old olive groves. On the ground floor of the original structure there is a study and a family room, which in the past housed a cellar and a barn. All the bedrooms are on the upper floors. The main feature of the new structure is the Entrance Hall which uses the unaltered walls of the ancient farmhouse to maintain some of the original characteristics of the building.



შესასვლელი - ძველისა და ახლის დაპირისპირება
ENTRANCE, OLD AND NEW CHARACTER CONFRONTATION



შესასვლელი
ENTRANCE



სასტუმრო ოთახი ღამით
LEAVING ROOM, NIGHT VIEW

THE INTERIORS are characterized by the presence of traditional materials, such as terracotta floors and wooden beams, and are furnished with authentic pieces that belonged to the owner's family, while the new area boasts modern interior design.

The integration between old and new in the submitted project has allowed for their unification without altering the existing structures on the farm, conveying an example of traditional architecture typical of the area to the future generations.

FRANCESCO D'AIUTO ARCHITECT
PHOTOGRAPHER:
ARCHITECT FRANCESCO D'AIUTO




შესასვლელი ღამით
PORCH, NIGHT VIEW

აკადემიის დიზაინ-კოლაჟი



არქიტექტორი - დავით ძნელაძე
DAVID DZNELADZE - ARCHITECT



დიზაინერი - ლიზა ჩაიკა
LIZA CHAIKA - DESIGNER

ხესკოხანი "აკადემია"
მდებარეობა: თბილისი, ხუსთაველის გამზიხი 27
ჰიოქტის ავტოხები:
ახიქტექტოხი - დავით ძნელაძე
დიზაინერი - ღიზა ჩაიკა

თანამედროვე ქალაქის მაღალტექნოლოგიური სტანდარტი აუცილებლად გულისხმობს დროის გამონვევას. დღეს, მას სჭირდება არსებულ ფუნქციურ დატვირთვასა და ესტეტიკურ მოთხოვნებს მორგებული უახლესი ტექნოლოგიურ-არქიტექტურული ქსოვილით შეკრული, გარემო, რომლის დიზაინი და ავტორის მიერ მასში წარმოქმნილი, თემატური სცენარით შექმნილი ატმოსფერო, რთული, შრომატევადი, შემოქმედებითი გზის შედგია.





თბილისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი სივრცე - რესტორანი „აკადემია“ რუსთაველის გამზირს, სულ ახლახანს მოეწვინა. იგი, მხოლოდ კომფორტული იზოლირებული ობიექტი არაა, იგი ქალაქის ცენტრალური უბნის წამყვანი ელემენტია და თავისი თანამედროვე მენტალიტეტით ურთიერთქმედებს მთელს გარემოცვასთან - მომიჯნავე შენობების არქიტექტონიკულ ქარგასთან.

არქიტექტორ დავით ძნელაძის და დიზაინერ ლიზა ჩაიკას დიზაინის ერთობლივი პროექტით შექმნილი რესტორნის საზოგადოებრივი გარემო, მისი შემადგენელი მობილური ელემენტების ურთიერთპარმონიულობით, ერთი მთლიანი, ცოცხალი ორგანიზმია. აქ, თანამედროვე არქიტექტურული ფორმები შორს სცდება დამკვიდრებულ სტილისტურ ჩარჩოებს - მათი მუდმივი სახეცვლა, „კომუნიკაბელურობა“ და გამჭვირვალობა, ინტერიერს ენერგიითა და ემოციებით ალავსებს. შიდა სივრცე გახსნილი და ნათელია. მასში იდეალური ატმოსფერო ისადაგურებს. საერთო სარგებლობის შიდა სივრცეები ორგანულად ერწყმის ექსტერიერს. ეს სინთეზი აყალიბებს ქუჩის საერთო იერსახესაც და სიცოცხლით ალავსე, ლამაზ მონაკვეთს ქმნის.

ავტორთა ძიება, თავიდანვე სალონული სივრცის გასამდიდრებლად ვარგისი შემოქმედებითი გადანწყვის პოვნისკენ ლტოლვას ეფუძნებოდა - გადანწყვტისა, რომელიც, პირველ რიგში, „ეთიკურ“ ასპექტებზე დაყრდნობით, „საერთო ხელმისაწვდომობისა“ და „გამჭვირვალობის“ თვალსაზრისით ქალაქის ინფრასტრუქტურის „გადახალისებას“ განაპირობებს.





არქიტექტონიკა გამოირჩევა მკვეთრი ხელნერით, სივრცე იზრდება უნიკალური კონფიგურაციის წყალობით წარმოქმნილი სივრცეების ტიპოლოგიათა განუმეორებლობითა და ავტონომიურობით. ინტერიერის თითოეული პორიზონტალური თუ ვერტიკალური სიბრტყე თამამი, არაორდინალური დეკორაციაა, დიზაინერული კოლაჟია. ეს ეფექტი, მას, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ინდივიდუალობას სძენს. მისი მონაკვეთების, ცალკეული დეკორატიული ელემენტების და აქსესუარების უცხო სინქრონი, ბუნებრივი და ხელოვნური განათების სრულად ათვისებისა და სივრცეებში მაქსიმალურად მიმოხვევის საშუალებას იძლევა. ინტერიერის მთლიანობის შთაბეჭდილება ერთიანი კომპოზიციური გადაწყვეტით, ზონიდან ზონაში გარდამავალი დეკორის მოტივებით ერთი სიბრტყიდან მეორეზე ფერის გადათამაშებით, მოცულობით-პლასტიკური გადაწყვეტებით, საზეხის, ფერის და ფიგურების დიალოგებითა და დიზაინერული რეფრენებითაა მიღწეული.

... განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი მოცულობის მაქსიმალური გამჭვირვალობაა, რაც სხვაგვარ, არაორდინალურ სამყაროს ქმნის - „ჰორიზონტი“ „აკადემიაში“ მუდამ სახეს იცვლის.

ესაა გარემო, სადაც ყოფნისას მისი სამყაროს ნაწილად აღიქვამ თავს. ზოგან გამჭვირვალობა განსაკუთრებულ ქვეტექსტს წარმოშობს, რაც სივრცესთან ურთიერთქმედებისას ადამიანის მიერ მისი არსის აღქმასა და მასთან შერწყმასაც გულისხმობს.

ნინო ლალიძე
ფოტო: ქეთი სოვლაბარისა



Academy Design Collage



Academy Restaurant
Location: Rustaveli ave.27, Tbilisi, Georgia
Autors of project:
David Dzneladze - Architect
Liza Chaika - Designer



Modern urban environment invariably challenges the time. Present-day public spaces are inconceivable without a hi-tech "lining", combining functionality with advanced technologies and aesthetic qualities, resulting from complex creative work.

Not long ago, a new entry - Academy restaurant - appeared on the list of important public spaces existing in our city.

The restaurant, located in Rustaveli avenue of Tbilisi is not just a comfortable interior, but a landmark, introducing modern interaction principles into its immediate architectural setting.

Public space of the restaurant, designed by David Dzneladze and Liza Chaika, is an integral structure, living a life of its own and consisting of harmoniously matched mobile elements.

Advanced architectural forms of the design far exceed the established stylistic borders - their constant transfor-


mation, "ability to communicate" and transparency fill the interior with energy and emotion. The place is an ideal setting for Entertainment and Leisure. Publicly accessible parts of the restaurant are seamlessly merged with the exterior. This synthesis affects the street setting, adding life and originality to this part of the district. From the very beginning, the authors' goal was to transform urban infrastructure by accentuating such traditional qualities of restaurant space as public access and transparency.





David's and Liza's design is bold and original, expanding the limited space due to the autonomous topology of originally configured floor levels. Each horizontal plane of the interior is an ingenious decoration, a design col-

lage. Individual quality of the interior is further highlighted by unusual harmony of its constituent parts, decorative elements and accessories, efficient application of daylight and artificial lighting, integral design composition, soft transitions of colors and dialogues of lines and figures.

...And the most important feature of the restaurant is its remarkably high transparency, which adds a mystical tinge to the interior and making the outside world look surprisingly ambiguous depending on how you move inside this space.

NINO LAGHIDZE
PHOTO BY: KATE SOVDAGARI







ვახტანგ დავითაშვილი

22.12.1934წ. – დაიბადა ს. ძველ-სენაკში (სენაკის რ-ნი). 1958 წ. დაამთავრა სპის სამშენებლო ფ-ტი, არქიტექტურის სპეციალობით. 1958-1962 – მუშაობდა „საქალაქმშენსაბპროექტი“-ში. 1962 წლიდან: სტუს ასპირანტი, ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი, სრული პროფესორი.

პროფესიული პოზიცია. არჩევა. სტუს არქიტექტურული გეგმარების კათედრის გამგე, 1995-2008; 2008 წლიდან დღემდე არქიტექტურული გეგმარების მიმართულების ხელმძღვანელი. საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე, 1995-2000. შავი ზღვის რეგიონის არქიტექტორთა ფორუმის თავმჯდომარე, 1996-2000. არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, 1994. ასა-ს მოსკოვის განყოფილების აკადემიკოსი და აკადემიკოსთა საბჭოს წევრი, 1995. საქართველოს საინჟინრო აკადემიის, 1996, და ფაზისის

აკადემიის აკადემიკოსი, 2001. ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრი, 1992-2007. საქართველოს კულტურის სამინისტროს კოლეგიის წევრი, 1996-1999. სტუს სამეცნიერო და პროფესორთა საბჭოს წევრი, 1995-2005. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორთა საბჭოს წევრი, 1995-1999. თბილისის ქალაქგეგმარებითი საბჭოს წევრი, 1985-2003. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის საატესტაციო საბჭოს თავმჯდომარე, 1997-2000/2004-2006.

წოდება. ხელოვნების დამასხურებელი მოღვაწე. მინიჭებული აქვს. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდო – გიორგი ნიკოლაძის მედალი. 2004.

საპატიო წევრობა: ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის საპატიო წევრი, 1991. რუსეთის არქიტექტურისა და სამშენებლო მეცნიერების, 1994, და უკრაინის არქიტექტურის აკადემიის უცხოელი წევრი, 2000. მარ დელ პლატას (არგენტინა) უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, 1987. მექსიკის ჯალისკოს შტატის არქიტექტურული კოლეჯის საპატიო პროფესორი, 1988. ქ. მანსის (აშშ) ბოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი, 1989, 1991. ბულგარეთის არქიტექტორთა კავშირის საპატიო წევრი, 1994. ქ. ფოთის, 1980, და ქ. მანსის, 1991, საპატიო მოქალაქე.

პრემიები: რუსთაველის პრემიის ლაურეატი; სსრკ-ის და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი. საქართველოს კომკავშირის და მინისტრთა საბჭოს პრემიების ლაურეატი. სოფიის მსოფლიო არქიტექტურული ბიენალეს – „ინტერარქ-83“ და „ინტერარქ-85“ და „ინტერარქ-2012“-ის ლაურეატი. სსრკ-ის არქიტექტორთა კავშირის „წლის საუკეთესო პროექტის“ 1984, 1985, 1986, 1987, 1990 წლების და „წლის საუკეთესო ნაგებობის“ 1986 და 1988 წლების (გრან პრი) ლაურეატი. თბილისის საერთაშორისო არქიტექტურული ბიენალეს ლაურეატი.

პერსონალური გამოგონებები. თბილისი, მოსკოვი, რიგა, კაუნასი, მინსკი, კიევი, როდნო, ხარკოვი, სოფია (ბულგარეთი), დრეზდენი, ვაიმარი, ბერლინი (გერმანია),

სერჟი-პორტუზი (საფრანგეთი), მანსი, ატლანტა, ოქსფორდი (აშშ), ბუენოს-აირესი (არგენტინა), ნარა (იაპონია).

კოლექტიური გამოგონა. არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსების: სოფიაში, ბერლინში, სტამბულში, ბარსელონაში, მოსკოვში, პეკინში, ტურინში.

ძირითადი რეალიზაციები. „მზიური ველი“ ბაკურინში; სამხატვრო გალერეა ქ. სენაკში; ბიზნეს ცენტრი „შთანინდა“ თბილისში, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები: საგარეჯოში, ქუთაისში, წყნეთში, ოფშქვითში, ტაბახმელაში; პურის ქარხნები: ვაზისუბანში და თბილისის ზღვის რაიონში; საგამოფენო დარბაზი „შთანინდა“ თბილისში; ხელოვნების ცენტრი გულრიფში, რეკონსტრუქცია-გაფართოება; სკოლა 600 მოსწავლეს სოფ. გაგაში; კავკასიის დამცველთა მემორიალი ყარაჩაევო-ჩერქეზეთში; გამარჯვების მონუმენტი გორში; მემორიალი და დავით აღმაშენებლის ძეგლი ქუთაისში; „სოფლის ტაძარი“ სოფ. მუხრანში; „ალგეთის ბაზილიკა“ სოფ. ტბისში; „სოფლის კუბი“ ქ. სენაკში; მეზღვაურთა მემორიალი, „კოლხეთის დედა“ და ცოტნე დადიანის ძეგლი ქ. ფოთში.

პუბლიკაცია, პროექტები. არის 200-მდე სტატიის და 250-მდე პროექტის ავტორი.

წიგნები: ვახტანგ დავითაშვილი. არქიტექტორი, 1998 (მიენიჭა არქიტექტურის საერთაშორისო ტრიენალეს პირველი პრემია); არქიტექტურა. ოცნება და სინამდვილე პირველი წიგნი, 2000; ამერიკული დღიური, 2004; მოწვევები. მემორიალები. მცირე არქიტექტურა, 2004; იაპონური დღიური, 2007; პროცესი, 2009; არქიტექტურა. ოცნება და სინამდვილე. წიგნი მეორე, 2009.

ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ მინიჭებული აქვს: საერთაშორისო ელჩის ორდენი, 2004, XXI ს.-ის უდიდესი მოაზროვნეები, 2005, მეგობრობის მსოფლიო მედალი, 2006. შეტანილია ენციკლოპედიაში „ვინ ვინაა პროფესიაში“, 2004/06 წლების გამოცემა (აშშ).

ავტორიტარიზმის არქიტექტურული ანატომია

(ძართული არქიტექტურა 2004-2013 წლები)

პახტანა ლავითაია

I. წანამძვრები, რომლებმაც განაპირობა არქიტექტურული პროცესის თავისებურებანი

1. ვარდების პერიოდში ლიკვიდირებულ იქნა სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო დარგის წარმართველი ყველა ინსტიტუტი. დარგი “შიამაგრეს” ეკონომიკის სამინისტროს, სადაც შეიქმნა 10-15 კაციანი განყოფილება. ცხადია, ასეთი კონტიგენტი ამ ურთულესი დარგის მართვაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია. არქიტექტურა და მშენებლობა უმნიშვნელოვანესი დარგიდან “კერძო” საქმემდე დაქვეითდა. ვარდების პერიოდის ცხრანლიანმა პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ეს “ლიკვიდაცია” არ იყო განპირობებული ეკონომიკური ფაქტორებით, არამედ იყო მიზანმიმართული აქტი, რათა ხელისუფლებას მიეღო აბსოლუტური თავისუფლება არქიტექტურულ-ქალაქგეგმარებითი და სამშენებლო პროცესის მართვაში.

2. არქიტექტურის მართვის ფუნქციები შეითავსეს პრეზიდენტმა, მინისტრებმა, გუბერნატორებმა, მერებმა, გამგებლებმა. ჩამოყალიბდა ახალი პროფესია – პრეზიდენტი-არ-

ქიტექტორი, მინისტრი-არქიტექტორი, გუბერნატორ-არქიტექტორი, მერი-არქიტექტორი, გამგებელ-არქიტექტორი. ამას დაემატა ინვესტორის, დამკვეთის, კერძო მესაკუთრის განუზღვრელი უფლებები და პრეტენზიული ჩართვა არქიტექტურულ-სამშენებლო პროცესში, მხატვრულ-ესთეტიკური საკითხებში და ცი. მოხდა არქიტექტურის სრული უზურპირება არაარქიტექტორების მიერ.

3. ქვეყნის უდიდესი ქალაქები, მათ შორის დედაქალაქი “ვითარდებოდა” და დღესაც ვითარდება გენერალური გეგმების გარეშე, სტიქიურად, ცარიელი ადგილების ამოვსება-ამოყორვის პრინციპით. ეს უაღესად მომგებიანი საქმეა. მენაშენე შედის ქალაქის მზა საინჟინრო ინფრასტრუქტურაში (გზები, საინჟინრო კომუნიკაციები და სხვა). ქალაქის მესვეურებს არ ადარდებთ ის, რომ ამ ქმედებით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა ქალაქის კოლაფსისაკენ. ქალაქმშენებლობა ზუსტი მეცნიერებაა და სავსებით შესაძლებელი იყო დაგვიდგინა დედაქალაქის კოლოფის გარდაუვალობა და მისი განვითარების სტადიები. ინვესტორებისა და მმართველი ელიტის მერკა-

ნტილური ინტერესების სრულმა თანხვედრამ მიგვიყვანა იმ ძვირადღირებული ღონისძიებების აუცილებლობამდე როგორც იყო გმირთა მოედნის და სანაპიროს სატრანსპორტო კვანძი, ტრასა “შზიურის” მთელს სარეკონსტრუქციო ტერიტორიაზე. ცხადია ეს ღონისძიებები პრობლემას მხოლოდ დროებითი გადაწყვეტაა.

4. არქიტექტურა, როგორც ადამიანებზე, საზოგადოებაზე, მათი ნებისგან დამოუკიდებლად, პირდაპირ მოქმედი ძლიერი იდეოლოგიური ფენომენი, ჩაყენებული იყო პიარის სამსახურში. ის გახდა საშუალება გარეგნული ბრწყინვალეობით დაეფარათ ავტორიტარულ-ძალადობრივი რეჟიმი. ეს ბრწყინვალეობა ეფექტურად აბრმავებდა უცხოელ “მეგობრებს” არ დაენახათ უსამართლობისა და ინკვიზიციის ფაქტები. ვარდების ხელისუფლებას არცერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს ათეული ათასობით შეჭირვებული ადამიანის საცხოვრისის პრობლემის მოსაგვარებლად თუ არ ჩავთვლით იმ იძულებით აქციას, როგორც იყო ლტოლვილთა დასახლებების მშენებლობა.





შინაგან საგმეთა საშინისტრო.

5. ხელისუფლებამ ორიენტაცია აიღო უცხოელ არქიტექტორებზე. “უცხოელი”, “ფრანგი”, “გერმანელი”, “იტალიელი” და ა.შ. მიზნული იყო პანაცეად და გაიგივებული “კარგთან”, “საუკეთესოსთან”. რამდენიმე უცხოელი არქიტექტორი გახდა მთავრობის ფავორიტი და ქვეყნის არქიტექტურული სახე. ხელისუფლება მოქმედებდა ორმაგი სტანდარტით – უცხოელებისთვის და ქართველებისათვის. არც ერთ უცხოელ არქიტექტორს არცერთი ობიექტი, ასეთი კი 30-40-მდეა, არ მოუპოვებია კონკურსით. უცხოელები დაკვეთებს ღებულობდნენ ხელისუფლების “პირდაპირი განკარგვის” წესით.

6. ხელოვანის, მათ შორის არქიტექტორების უცხო ქვეყანაში მოღვაწეობა არც ისტორიულად და არც დღეს არ არის მიუღებელი. დაუნერევი კანონია, სხვა ქვეყანაში მოღვაწეობა ნიშნავს ამ ქვეყნის მატერიალური და სულიერი კულტურის ცოდნას და პატივისცემას, ერის მენტალობაში და ტრადიციებში წვდომას. ვარდების პერიოდში საქართველოში მოღვაწე არც ერთ უცხოელ არქიტექტორს ამ “პატივისცემის” მცდელობაც კი არ ჰქონია. უმეტესი მათგანის ნამოღვაწარი გარემოზე ძალადობის, კულტურულ მემკვიდრეობაზე და “ადგილის სულის” (Genius Loci) უპატივცემლობის მაგალითებია. მაქვს საბაბი ვიფიქრო, რომ არქიტექტურის ინტერნაციონალურ-გლობალისტური მიმართულება ხელისუფლების არა თუ გაულგრილობა, არამედ პირდაპირი დაკვეთა იყო.

7. უცხოელის მონვევა, იქნება ეს არქიტექტორი, მეცნიერი, მწერტნელი თუ სპორტსმენი მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც, ქვეყანა განიცდის მწვავე საკადრო დეფიციტს. საქართველოსთვის არქიტექტურა ტრადიციული, ვიტყოდი გენეტიკური დარგია; რაც დადასტურებულია არქიტექტურის ისტორიითაც და

დღევანდლობითაც. ჩვენ არა ვართ ის ერი, რომლის არქიტექტურა იწყება იურტით და მთავრდება იურტით.

სრული კატეგორიულობით ვაცხადებ, არ არსებობს პრობლემა, რომლის გადაწყვეტა მაღალპროფესიულად არ შეუძლია ქართულ არქიტექტურულ პოტენციალს. მაგრამ არქიტექტურულ შედეგს არქიტექტორზე მეტად განაპირობებს დამკვეთი, მისი სიბრძნე, შორსმჭვრეტელობა და პროფესიონალების მოსმენის ნიჭი, რისი დეფიციტი აშკარად არსებობდა ვარდების პერიოდის საქართველოში. ხელისუფალის ყველაფრისმცოდნეობა წითელ ხაზად გასდევს მთელ ამ პერიოდს.

8. ცალკე თემაა უცხოელთა შერჩევის პრი-

ნციპი. როგორც წესი უცხოელთა მოღვაწეობა ამა თუ იმ ქვეყანაში იწყება საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვებით. მხედველობაში არა მაქვს ფეოდალების, მეფეების, მონარქების პერიოდი. საბაზრო ურთიერთობისათვის სრულიად მიუღებელია ის წესი (“პირდაპირი განკარგვა”), რომელიც დააკანონა პრეზიდენტმა სააკაშვილმა. ამდგავარი “პირდაპირი განკარგვის” მხოლოდ ერთადერთი მაგალითი ვიცი უახლესი პერიოდის მსოფლიო პრაქტიკაში, როდესაც პრეზიდენტმა მიტერანმა მისი გრანდიოზული არქიტექტურული პროგრამის – “პარიზის დიდი პროექტების” 9 ობიექტიდან, რომლებიც საერთაშორისო კონკურსის წესით შესრულდა, მხოლოდ ერთი,



“გვპვილოვის სილი”



პავინო "შანბრილა"

ყველაზე მცირე (ბიუჯეტით, ღირებულებით) ლუვრის ეზოში დამხმარე ვესტიბულის მოწყობა, დაუკვეთა თანამედროვეობის უდიდეს არქიტექტორს, დახვეწილი გემოვნების არქიტექტორს ი.მ.პეის, რომელმაც, როგორც მოსალაოდნელი იყო, უზუსტესი გადაწყვეტილება მიიღო, ჩადგა რა ლუვრის ეზოში "მინის პირამიდა". მიუხედავად იმისა, რომ შედეგი იყო ბრწყინვალე, არქიტექტორი – გენიალური, დამკვეთი – პრეზიდენტი მიტერანი, უმნიშვნელო რეპუტაციის განათლებული პიროვნება, საფრანგეთმა მას არ აპატია კანონის დარღვევა, რაც "პირდაპირი განკარგვით" დაკვეთაში გამოიხატა. მას პრესამ და საზოგადოებრივმა აზრმა რისხვა დაატყეს თავს, საქმე კინალამ სასამართლომდე მივიდა. ჩვენ კი, მწვანე შუქი აუნთეთ და ასეული მილიონების "განკარგვის" უფლება მივანიჭეთ ისეთ უცხოელ არქიტექტორებს, რომლებსაც საკუთარ ქვეყანაში არაფრით გამოუჩინათ თავი, რომ არაფერი ვსთქვათ საერთაშორისო აღიარებაზე.

9. ექსტრაორდინალური ფაქტორი, რომელსაც ადგილი ქონდა საქართველოში და რომელმაც განსაზღვრა ვარდების პერიოდის არქიტექტურული პროცესის სპეციფიკა და შედეგი, არის მართვის არადემოკრატიული, ფეოდალური, თვითმპყრობელურ-ავტორიტარული მეთოდი, ხელისუფლების სისტემური თვითნებობა, სრულიად ბუნებრივად და მკაფიოდ გამოვლინდა არქიტექტურაში.

II. შუფასაჟის კრიტიკუზმები

1. არქიტექტურა ხელოვნებაა, ხელოვნების ყველა ნიშნითა და მოთხოვნით – ემოციურობა, ელდა-ალტაცება, ერთადერთობა.


განსხვავებით ხელოვნების სხვა დარგებისგან, არქიტექტურას აქვს მარადიული, მყარი კანონებიც, რომლის ფარგლებში უნდა იყოს მიღწეული ზემოთაღნიშნული ნიშნები და მოთხოვნები. "მაქვს გულს მიდებუი ქნარი როგორც მინდა"ს უკიდვგანო თავისუფლება არქიტექტურაში არ არსებობს და თუ არსებობს, ის ნანარმოები სცილდება არქიტექტორის სფეროს.

2. დიდი არქიტექტურა ყველა დროში იყო თანამედროვე, იმავდროულად აგრძელებდა და აწვითარებდა ერის მატერიალურ და სულიერ კულტურას, გამოხატავდა "ადგილის სულს". ექცენტრულობით, ტრიუკებით, უონგლორობით ეფექტის მიღწევა შემოქმედებითი სიბერწე და მარაზმია.

3. ისტორიზმი, რეტრო, სტილიზაცია, რომელიც უსახო შუშის არქიტექტურის პარალელურად ვარდების პერიოდის ოფიციალური სახელისუფლო დაკვეთა იყო, ძალადობრივი, ადმინისტრაციული წესით აფერხებდა არქიტექტურული აზრის ბუნებრივ განვითარებას.

ამ პოზიციებიდან ვაფასებ ვარდების პერიოდის არქიტექტურას, განურჩევლად ავტორის (ავტორების) წარმომავლობისა და ეროვნებისა. დავინწყებ უცხოელი არქიტექტორებიდან.

შავი ჯღვის უნივერსიტეტი ბათუმში





III. მიკელე დე ლუკი (იტალია)

ბატონი მიკელე დე ლუკის ობიექტები თბილისში: შინაგან საქმეთა სამინისტრო აეროპორტის გზატკეცილზე, “მშვიდობის ხიდი” მტკვარზე და კაზინო “შანგრილა” მარჯვენა სანაპიროზე, სასტუმრო რადისონ ბლუ, შავი ზღვის უნივერსიტეტი და იუსტიციის სახლი ბათუმში, იუსტიციის სახლი მარნეულში, პრეზიდენტის სასახლე თბილისში, თუმცა გაუგებარია, რატომ მიაწერენ მას პრეზიდენტის სასახლის ავტორობას, როდესაც ყველამ იცის, რომ ბატონმა გიგა ბათიაშვილმა მეფის რუსეთის საპოლიციო “ყაზარმა” ჯერ “ალმოაჩინა”, შემდეგ შექმნა პროექტი და ეს ყაზარმა აამაღლა “პრეზიდენტის სასახლემდე”. ბატონი გიგა მშენებლობის პროცესში უტაქტოდ ჩამოაშორეს ობიექტს. შესაძლოა დე ლუკის სხვა დაკვეთებიც ქონდა.

1. შინაგან საქმეთა სამინისტრო თბილისში. 2009.

მიუხედავად იმისა, რომ არა ვარ შუშის არქიტექტურისადმი კეთილგანწყობილი, უნდა ვაღიარო, რომ შსს შენობა გარკვეული ემოციური მუხტის მატარებელი შენობაა, რაც განპირობებულია შენობის პლასტიკით, ასევე

ვიტრაჟის “ნახატი”, რომისებრი სეგმენტებით, პირველი სართულის გადანწყვეთით. საინტერესოა მიწის ქვედა სართულიც, რომელიც მხოლოდ ახლო წერტილებიდან აღიქმევა. შენობის ღამის განათება ეფექტურია. სამსუხაროდ, შენობას “ადგილის”, ქვეყნის არაერთარი ნიშანი არა აქვს. ის კონცეფტუალურად უსამშობლოა, გლობალისტურ-ინტერნაციონალური. ტერიტორიის სიღრმეში შენობის დასამამ, განაპირობა მისი აღქმა შორი მანძილიდან და მხოლოდ ფრონტალურად, რამაც მნიშვნელოვნად დასწია ემოციური მუხტი, რომელიც მას უსათუოდ ექნებოდა თუ კი ის მიუხსოვდებოდა ტრასას. საქმე ეხება მასშტაბის ძალას, რაკურსების მონაცვლეობას ტრანსპორტით მოძრაობისას, ვიტრაჟის დეტალების აღქმას, ინტერიერების ღიაობის ეფექტს, რომელიც გააძლიერებდა შენობის “დემოკრატიულობის” ილუზიას, რაც ასე პრინციპულია ვარდების ხელისუფლებისათვის. შინაგან საქმეთა სამინისტრო, ასევე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გაშენებული პოლიციის მინის შენობები და შთამბეჭდავი იუსტიციის სახლები იქნენ ქვეყნის იდეოლოგიისა და პიარის აქტიურ ძალად, ახდენენ შთა-

ბეჭდილებას ადამიანებზე. მაგრამ ჩნდება კითხვა, რატომაა ქვეყნის უპირატესი ზრუნვის საგანი პოლიცია და იუსტიცია, ხომ არ არის ეს იმ წლების რეალობის სარკვე? ხომ არ არის ეს უნებლიე თვითლუსტრაცია პოლიციური რეჟიმისა? უფრო ჰუმანური და შთამბეჭდავი ხომ არ იქნებოდა სიამაყის ობიექტები ყოფილიყო სკოლები, რომელთა უდიდესი ნაწილი დღემდე გაუსაძლის, არაესთეტიურ, არააბიგიენურ, არასტატიკურ მდგომარეობაშია.

2. მშვიდობის ხიდი თბილისში. 2010.

ხიდები, ისევე როგორც ციხე-სიმაგრეები შენდებოდა სასიცოცხლო აუცილებლობის გამო. მდინარე მტკვრის ამ მონაკვეთზე ორ სატრანსპორტო ხიდს შორის მანძილი მხოლოდ 700 მეტრია. ახალი ხიდის მშენებლობა, თუნდაც საცალფეხოსი, სრული ნონსენსია. ეს ხიდი, ფაქტობრივად, არაფერს არაფერთან არ აკავშირებს, ვინაიდან არც ერთ მხარეს არ არის ადამიანთა ნაკადები და არც არასოდეს იქნება. დაუშვათ, რომ მტკვრის ორივე მხარეს დიდი ნაკადებია და საცალფეხო ხიდი კომფორტს უქმნის მოქალაქებს. რამდენად სწორადაა თავად ხიდი გააზრებული? მიუხედავად იმისა, რომ ხიდი მინისაა, რაც გამჭვირვალობას უნდა ნიშნავდეს, “ხუფი” იკითხება როგორც ყრუ მასა, მან გააუჩინარა და გადაჭრა უღამაზესი ხედები ისტორიულ თბილისზე, მათ შორის ხედი მეტეხზე, რომელიც წარმოადგენს ტაძრის, ქანდაკების და გარემოს უნიკალურ კადრს. ხიდი არაკონტექსტურია, კომფლიქტშია ისტორიულ გარემოსთან, რაც არქიტექტურული კრიმინალია. რატომ გადახურული? სახურავი იცავს ადამიანს წვიმიდან, თოვლისგან, მზისგან. კი მაგრამ ეს “კომფორტი” მხოლოდ ამ მონაკვეთში? რა ხდება ხიდამდე და ხიდის შემდეგ? ხომ დაანვიმს, დააცხუნებს და დაათოვს ადამიანს? “მშვიდობის ხიდი” არქიტექტურულ-მხატვრული, ეკონომიკური და ფუნქციური ალოგიზმია. დასაზრჯულია 13 მილიონი დოლარი. ეს 6-7 ახალი სკოლა 300-400 მოსწავლესზე.

ხიდი გაგრძელება იმ აკვიატებული, დაუსაბუთებული მშენებლობებისა და ნგრევისა, რომელიც არც თუ იშვიათობა იყო ჩვენ რეალობაში: აეროპორტის რკინიგზის საზი და რკინიგზის სადგურის შენობა, სამზერი კოშკი რიყეზე (დაანგრეს), შადრევანი გმირთა მოედანზე (გადაიტანეს). დღემდე ერთ ადამიანსაც არ უსარგებლია ხის ხიდით, რომელიც აშენდა “მზიურის” ტრასაზე, გმირთა მოედანიდან სულ რაღაც 400-500 მეტრზე. ფაქტობრივად დაუსაქმებელია ლითონის ხიდები გამზირებზე, “სოვენის ობელისკი” გმირთა მოედანზე, დავით აღმაშენებლის ძეგლის გაძვევბა დილომში, გამარჯვების მემორიალის აფეთქება ქუთაისში, სიღნაღში ამირანის თორმეტმეტრიანი ბრინჯაოს ძეგლის დახერხვა ერთ ღამეში და სხვა.

მაქვს საბაბი, ვიყო უკიდურესად სასტიკი, ცინიკურიც კი. ვთავაზობ ახალ ხელისუფლებას: მოხდეს ხიდის დემონტაჟი და მისი ხელახალი აწყობა სმელეთზე, ტრიალ მინდო-

რზე, როგორც აბსურდის ძეგლის.

პროფესია “არქიტექტორი” გულისხმობს დამკვეთის ინფორმირებას პროფესიულ საკითხში. ბატონმა მიკელემ ეს არ გააკეთა, არ უთხრა დამკვეთს (იქნებ უთხრა კიდეც), რომ ეს ალოგიკურია, რითაც დაამტკიცა პროფესიული არაკეთილსინდისიერება და დაარღვია არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის ეთიკის კოდექსი.

3. კაზინო “შანგრია” სანაპიროზე. 2012.

ობიექტმა თბილისელებში აღშფოთება გამოიწვია. კაზინოს მშენებლობა ისტორიულ ნაწილში, საპატრიარქოსთან, მკრეხელობაა, საზოგადოებრივი აზრის მიზანდასახული გამოწვევაა. ეს ფაქტი კიდეც ერთხელ მიანიშნებს იმაზე რომ “ძეგლთა დაცვა” უფლებაყრილია, ხოლო საზოგადოებრივი აზრი უგულველყოფილი. რაც შეეხება თავად შენობას, ის ამოვარდნილია არქიტექტურით, განწყობილებით, ჩატენილია განაშენიანებაში. კონტექსტზე, არსებულისადმი პატივისცემაზე მინიშნებაც კი არ არის, უბრალოდ ელემენტალური, უნიჭო შენობაა.

4. შავი ზღვის უნივერსიტეტი თბილისში. მშენებლობის პროცესშია.

აშენებული ნაწილით და პროექტით თუ ვიმსჯელებთ, შენობა არ გვირდება რაიმე გარდევას დე ლუკის “ძიებებში”. ის ბანალური, უემოციო, დეპრესიული შუშის არქიტექტურაა. ეს ობიექტი კი ნამდვილად შეიძლება და ყოფილიყო “საჩვენებელი”, მაგრამ ავტორს (ავტორებს) არ აღმოჩნდათ შემოქმედებითი ენერჯია.

5. იუსტიციის სახლი ბათუმში. 2011.

შენობა ელემენტური, ლაკონური, მინიმალისტურია. მე ის მომწონს. გამჭვირვალეა და სივრცობრივად საინტერესო ბაზისი – ქვედა ორი სართული. პრესაში, ასევე ტელეკადრებში ხშირად ქვეყნდება ღამის ფოტოები, ასევე ფოტოები განაშენიანებასთან კონტექსტის

იუსტიციის სახლი მარნეულში



გარეშე. ეს არ არის შემთხვევითი. შენობა დგას დიდი და ტლანქი მოცულობების გარემოცვაში, რაც საგრძნობია ნატურაში. სასურველი იყო სხვა არქიტექტურული გარემოს მოძიება.

6. სასტუმრო რადისონ ბლუ ბათუმში. 2011.

სასტუმროსათვის გამოიყო ბათუმის ყველაზე თვალსაჩინო ადგილი. სასტუმრო ცვალებადი კვეთის მინის კოლოფია. მინის შენობებში, როგორც წესი, ცდილობენ ქვედა სართულის (სართულების) “გაარქიტექტურებას” ზედა მონოტონური სართულებისაგან განსხვავებული თემით. არის მცდელობა მკაცრი გეომეტრიულობისგან თავის დაღწევის (სიბრტყეების დახრა, ტეხილი სილუეტი), მაგრამ ამან მინის “თანდაყოლილ” ინდიფერენტულობას, უსიუფეტობას და სიცივეს ვერ უშველა. ეს

შენობა კონცეპტუალურად არაქართულია, არაბათუმური. დანაშაულია სამხრეთში, ზღვისპირა ძვირადღირებულ სასტუმროში გამოკვეთილ ადამიანი, არქონდეს საშუალება დატკბეს ზღვისა და გარემოს ხედებით, ზღვის ნიახვით. ეს სხვა კლიმატის, სხვა ბუნების, სხვა გარემოს, სხვა მენტალობის ქვეყნის არქიტექტურაა. მას არა აქვს “სულიერი” კავშირი ადგილთან. ის მხოლოდ ადგილის ფიზიკური ელემენტია. დიას, ბათუმი წვიმიანი ქალაქია, ხანდახან დახრილადაც წვიმს, მაგრამ ისევე როგორც არსებობს მზისგან დამცავი საშუალებები, ასევე არსებობს წვიმისაგან ეფექტურად დაცვის საშუალებები.

7. იუსტიციის სახლი მარნეულში. 2012.

ძნელია მას უწოდო შენობა. მისი “არქიტექტონიკა” პავილიონურია, მსუბუქი, დროებითი. ოთხივე ფასადი ერთნაირია, სართულეტი ტალღოვანი ზოლებისგანაა აწყობილი. თითქოს კარკასზე მოჭიმულია სინთეტური ქსოვილი. ესაა პავილიონი ყოველგვარი სემანტიკური და ტიპოლოგიური ნიშნის გარეშე, მას საზოგადოებრივი შენობის არავითარი ნიშანი არა აქვს.

დასკვნა. მიკელე დე ლუკის მოღვაწეობა საქართველოში მხოლოდ ფაქტია. მან ვერაფერი შემატა ქართულ არქიტექტურას. მას სულიერი და კულტურული ფასეულობა არ მოუტანია საქართველოსთვის.

დე ლუკის სახელთან დაკავშირებული ობიექტები, ყველა განსხვავებულია. მათ, მინიშნებითაც კი არა აქვთ საავტორო ცნობადობა, რაც გვაფიქრებინებს იმაზე, რომ თავად დე ლუკი სამუშაოთა მიმცემი იყო და არა შემოქმედებითი არქიტექტორი. პროფესიით არ არის არქიტექტორი, ის საყოფაცხოვრებო ნივთების დიზაინერია.

გაბრიელა შვიფოზ ნოზირო

სასტუმრო რადისონ ბათუმში



ფერის და ფორმის ილუზიური თამაში



მხატვარ ვახტანგ მეგრელიშვილის მიერ შექმნილ ნამუშევრებში, თავისებურად გამოვლენილი მეტად პლასტიკური და პოლიფონიური მანერა - ნატიფი და დახვეწილია. მხატვრის ყოველი ნახატის აღქმისას, ახალ, მოულოდნელ ნიუანსებს აღმოვაჩენთ და მის მიერ მოწოდებულ პოეტურ ტალღაზე ვერთვებით. მისი აზრი, გრძნობა და შემოქმედი სული შერწყმულია სილამაზის განუწყვეტელი ძიების პროცესში. ავტორის ფანტაზიით და აღქმით - სამყარო, გრაფიკულ ხვეულებში, ფერთა დინამიკაში თუ ორიგინალურ დეკორში უღამაზესი და განუმეორებელია.

რიტმული და დინამიური, ხშირად ექსპრესიული კომპოზიციები მალალმხატვრულად არის შესრულებული გრაფიკის ისეთი ტექნიკებით როგორცაა ოფორტი, ლითოგრაფია, მონოტიპია, შერეული ტექნიკები.

მხატვრის კომპოზიციებში ოსტატურადაა შერწყმული ტუში, კალამი, ფანქარი, პასტელი, აქვარელი და მასალათა მრავალსახეობა გვიქმნის ერთგვარ განწყობას მხატვრის მრავალფეროვან შემოქმედებაზე.

თანამედროვე გრაფიკის ტექნიკების ღრმა ცოდნა აძლევს მხატვარს საშუალებას, ასე ეფექტურად გამოთქვას თავისი სათქმელი რომელიც კარგად თავსდება თანამედროვე ხელოვნების სივრცეში.

მოქნილობა და სირბილე - პლასტიკური ფორმების რიტმის განუწყვეტელ ცვალებადობას განაპირობებს. იდეები, მასალის ფაქტურის, ფერის, ხაზის ილუზიური თამაში რეალიზდება. ხელოვნება ხომ ილუზიაა და მხატვარიც სრულყოფილების ილუზიას ქმნის.



ქართული ორნამენტები 50X75 ოფორტი
Georgian ornaments, etching



რონოდა 50X65 ოფორტი
Wagon, etching



კომპოზიცია 45X50 ლითოგრაფია
Composition, Lithography

Illusory Game of Form and Color


Refined beauty of Vakhtang Megrelshvili's art shows her highly flexible and polyphonic manner, diverse creative palette.

Every look at the objects, created by the artist reveals new, unexpected details, engulfing the viewer into the poetic world expressed with sincerity. Vakhtang's ideas, feelings and creative spirit merge in the incessant, stubborn search of beauty.

The compositions are well executed graphics techniques such as etching, lithography, monotype, combined technique. Paintings masterfully combined with ink, pen, pencil, pastel, watercolor and a variety of materials creates a mood of the artist's work.

The artist's boundless fantasy turns each of her dynamic and colorful silk paintings original and unique. Flexibility, softness and fluidity make the rhythm of changeable forms everlasting.

Ideas are realized in the illusory game of line, color and form. Illusion is art, and art is what Vakhtang does by trying to achieve perfection with her illusory games.




სამი პორტრეტი 32X56 ოფორტი
Three portrait, etching



ცისკარი 47X57 შერეული ტექნიკა
Daybreak, mixed Technology

საქართველო-თურქეთი ყოვლმხროვლო დიალოგი









სახვითი ხელოვნების სპეციალობის სტუდენტთა ნამუშევრების პერფორმანსი და მასტერკლასი. პერფორმანსზე მხატვრის მიერ შესრულებული ფერწერული ტილო გათამაშდა ლატარიით, რომლის მფლობელიც გახდა ოპერატორი მიშო ქავთარაძე, ხოლო გამოფენიდან ერთი ნამუშევარი საჩუქრად გადაეცა უნივერსიტეტს.



17 იანვარს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ღონისძიება "საქართველო-თურქეთი, კულტურული დიალოგი". ღონისძიების ფარგლებში შედგა კარადენიზ ერეგლის ხელოვნების კოლეჯის პედაგოგის, მხატვარ ადნან თურანის, მისი მოსწავლეების და თსუ



ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ საერთაშორისო ორგანიზაცია "ფემინ არტის" საქართველოს ფილიალი (ფილიალის დირექტორი: ლელა გელეიშვილი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიზუალური ხელოვნების ინსტიტუტი.



Georgia-Turkey Cultural Dialogue

On January 17 Ivane Javakhishvili Tbilisi State University hosted event "Georgia-Turkey, Cultural Dialogue". The event included a master class and a performance featuring the works of painter Adnan Turan - teacher of Karadeniz Ereğli Art College, his students

and TSU art students. One of Adnan Turan's paintings served as a prize in lottery game arranged during the performance. This prize was won by operator Misho Kavtaradze, and another painting from the exhibition was passed as a gift to the University. The event was organ-

ized by the Georgian branch of international organization Femin Art (Lela Geleishvili - Director of organization) and the Visual Art Institute of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

რადიო კომპანიები "ფორტუნა"

წარმოებიდანთ მუსიკალური
დაჯილდომების ცერემონიალს



სერტიფიცირებულია





არქიტექტურის მეორე საერთაშორისო ფესტივალი
Second International Architectural Festival